PDF Eraser Free

დანართი №2

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ალინა კუპრავა
წევრები:
დავით გუდაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

(ქ. ჯვარი, 2020 წელი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი ,,ლაკადა“
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ
საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 01 ივლისის N 547108 ბრძანების საფუძველზე სსიპ კოლეჯ "ლაკადაში" პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ ელექტროობა“ პროგრამის დამატების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შედგა დღის წესრიგი.

დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ადმინისტრაციასთან გასაუბრება;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება;
- სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება;
- საგანამანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება;
- პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- ბიბლიოთეკის და საგანამანათლებლო რესურსის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- გასაუბრება პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან;
- დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შეჯამება/შეჯერება ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის/ძირითადი მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა ვიზიტის ფარგლებში მიცემული რეკომენდაციები.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი 2

კომპონენტი 2.2.1.

კრიტერიუმი 1. რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით: პროგრამით გათვალისწინებული რესურსი მობილიზდეს დაწესებულების ბაზაზე.

კრიტერიუმი 3. რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით: ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელმა პროფესიულმა განათლების მასწავლებლებმა, რომ შეძლონ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასების კომპეტენციის განვითარება, საჭიროა მათი გადამზადება მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში;

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის მ/შ ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ელექტროობა საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ელექტროობა დამტკიცების შესახებ, N04/35,12.06.20 ცვლილება განხორციელებულია 2020 წლის 14 ივლისის ბრძანება N04/46;
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. N2 30 პროფესიული სტუდენტი მოდულური სწავლება
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	15 სტუდენტი ინტეგრირებული სწავლების შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	157
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	■	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯის ,,ლაკადას“ გადაწყვეტილება ,,ელექტროობა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კოლეჯის 2020 წლის სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა ინტეგრირებული სწავლების დანერგვა, ხედვისა და სტრატეგიული დაგეგმარების საფუძველზე დაწესებულება მზადაა ელექტროობის მიმართულებით მოამზადოს თანამედროვე საჭიროებებისა და უნარ-ჩვევების მქონე პროფესიული კადრები.

2. „ელექტროობა“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება არაინტეგრირებული სწავლებისათვის. საბაზო განათლება ინტეგრირებული სწავლებისათვის. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. კოლეჯს შემუშავებული აქვს სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალურ რესურსებს, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობასა და კვალიფიკაციას. კოლეჯის მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით: ა) მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A,B და C) გარემო; ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა; გ) საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი; დ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა. ელექროობის პროგრამისათვის დაწესებულებამ ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე განსაზღვრა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.

4. ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს;

6. ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დაწესებულების კოლეჯის დირექტორის კოლეჯის ბრძანებით.უფლებამოსილება დასტურდება დაწესებულების წესდებით და პროგრამის დამტკიცების და მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესით, პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზეც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება – ელექტროობა სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მოიცავს ელექტროობის სფეროში დასაქმებული პირის ფუნქცია–მოვალეობებსა და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8.ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი ელექტროობა / Electricity," საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 07313-პ): დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ , ინტეგრირებული სწავლებისთვის შემუშავებული სასწავლო გეგმა არის სამ წელზე გაწერილი. პროგრამის შემადგენელი მოდულების გადამოწმებით გამოვლინდა, რომ პროფესიული სავალდებულო მოდულების სტანდარტული ჩანაწერები(კერძოდ სტანდარტულ ჩანაწერებს დამატებული ჰქონდა თითოეული სწავლის შედეგის ნაწილში კრედიტების რაოდენობა) განსხვავდებოდა ელექტროობის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მოდულების ჩანაწერებს, დაწესებულებას გასაუბრების დროს ეცნობა აღნიშნულის შესახებ, დასკვნის პროექტის მომზადებამდე კოლეჯმა უზრუნველყო აღნიშნული უზუსტობის გასწორება, პროცედურების დაცვით,გადმოგზავნილ იქნა დირექტორის ბრძანება 2020 წლის 14 ივლისის N04/46 პროგრამაში ცვლილების განხორციელების შესახებ, შესაბამისი დანართებით, რაც მოეწოდა ექსპერტებს დამატებით დოკუმენტაციად და შეფასდა დადებითად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯის „ლაკადა" სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმებით;
- სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა" - პროგრამის დამტკიცების და მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესით;
- მისიით;
- სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა",,პროფესიული საგანმანათლებო პროგრამის დაგეგმვის ,განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგიით";
- მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა" დირექტორის ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ელექტროობა დამტკიცების შესახებ, N04/35,12.06.20 ;
- პროგრამის დანართი N1; N2 პროგრამის სასწავლო გეგმით;
- სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით;
- კოლეჯის საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ელექტროობა -პროგრამის საგანმანათლებლო რესურით;
- სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ ;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულებას გამოყოფილი აქვს A; C; და B გარემო და შესაბამისი აღჭურვილობით, საკლასო გარემო 15 პროფესილ სტუდენტზეა გათვლილი (სულ ორ ცვლაში 30 აქედან, 15 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებულზე); ინტეგრირებული მოდულების საჭირო ლაბორატორიული აღჭურვილობისათვის მიმდინარეობს შესყიდვა; ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა მატერიალური რესურსების საკმარისობა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობასთან შესაბამისობა; დაწესებულებას პროფესიული მოდულებით გათვა;ისწინებული ნაწილი აღჭურვილობა განთავსებული აქვს C გარემოში, ნაწილი კი შესყიდვის პროცესშია. მოდულების „მაღალი ძაბვის ეგხ-ს მშენებლობა და მომსახურება“; „ქვესადგურბის მონტაჟი დიაგნოსტიკა და მომსახურება“ განხორციელება დაგეგმილია საწარმოს პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული ნაწილი აღჭურვილობის შეძენისთვის კი წარმოდგენილი იქნა შესაბამისი ხელშეკრულებები(ხელშეკრულებები გაფორმებულია ივლისის დასაწყისში და რესურსების მიღება-ჩაბარებით გადმოცემა კოლეჯისათვის უნდა განხორციელდეს 30 სამუშაო დღის ვადაში). დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით, გეგმის თანახმად პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის დაწესებულებაში მობილიზება განხორციელდება 2020 წლის 25 სექტემბრამდე, აღნიშნულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორი, შესყიდვების მენეჯერი, და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მენეჯერი.

2. პროგრამით განსაზღვრულია საერთო სავალდებულო, პროფესიული/დარგობრივი, ზოგადი და ინტეგრირებული მოდულები; ამ მოდულების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელთა რაოდენობა 16. მათი კვირეული დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევისა და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება, კოლეჯის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად შერჩეული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალით და მათი პირადი საქმეებით. მოდულების განმახორციელებელ პროფესიული მასწავლებლებს გავლილი აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ტრენინგები. კოლეჯის სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს პროფესიული მასწავლებლების პროფესიული განვითარება. კოლეჯს, ,,ელექტროობა"- პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, გათვალისწინებული აქვს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება სწავლების მეთოდების სრულყოფის, სტუდენტის მიღწევის შეფასების და კვალიფიკაციის მინიჭების ორგანიზების კუთხით. ინტეგრირებული მოდულზე შერჩეული მასწავლებლები გაივლიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაგეგმილ ტრენინგებს.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი კომპეტენცია შეესაბამება პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/ განმახორციელებლების საქმიანობას. პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით. კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ბიბლოთეკაში განთავსებულია სამი კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები აპარატი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. ელექტრონული რესურსის შემთხვევაში ლიტერატურის დასახელების გვერდით მითითებული არის „ელექტრონული" ვერსია, ამასთანავე მასალა ჩაწერილია დისკზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკის ფონდის გადამოწმების დროს მოდულში მითითებული ლიტერატურის წარმოდგენა სრულად ვერ მოხერხდა, ბიბლიოთეკარმა განაცხადა, რომ წიგნების ნაწილი შესყდვის პროცესშია, 2020 წლის 15 ივლისს სსიპ კოლეჯ ლაკადას მიერ ცენტრში წარმოდგენილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის შეძენილი წიგნების სურათები და ჩამონათვალი, რომლებიც მიეწოდა ექსპერტებს და შეფასდა დადებითად.

6. კოლეჯში ხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა სწავლება, რაც გულისხმობს საჭირო დამატებით ადამიანური და მატერიალური რესურსის მიწოდებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. სსიპ კოლეჯს „ლაკადა" აქვს სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ პანდუსი ცენტრალური ეზოში გასასვლელად. შშმ პირების მოთხოვნებტან ადაპტირებული სველი წერტილები. სართულებს შორის დამაკავშირებელი ლიფტი. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

(სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის (ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა) და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ისგ-ს საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტისთვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო მასალა და ნედლეული.

7.სახელმწიფო ბიუჯეტით უზრუნველყოფილია ელექტროობის პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს ადმინისტრირების ხარჯს,პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, მასალა-ნედლეულის ხარჯებს, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების შედარებით რენტაბელური ჯგუფის ოდენობა, ანუ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის(არაინტეგრირებული) განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას განსაზღვრულია 5 პროფესიული სტუდენტით, ინტეგრირებული პროგრამისათვის რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 6 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა რენტაბელობის ზღვარს აღემატება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მიერ შევსებული ფორმით #4 პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ ;
- კოლეჯის ბაზაზე არსებული აღჭურვილობის და მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- შესყიდვის ხელშეკრულებებით;
- სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ ბალანსზე რიცხული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებითა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმით;
- პროფესიულ მასწავლებელთა მიერ გავლილი ტრენინგებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- მოდულების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალით (დანართი: ,,პროგრამის შემადგენელი მოდულები, ლიტერატურა“);
- სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.
- სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის მ.შ ბრძანებით N04/ 21 2019 წლის 18 მაისი,,ბიბლიოთეკის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“ ;
- ინტეგრირებული ზოგადი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის დოკუმენტებით (კოლეჯის მიერ გამოცხადებული ვაკანსიის HR.GOV.GE საფუძველზე (ნორმატიული აქტები და ოქმები) ;
- სსიპ კოლეჯი ,,ლაკადა“ დირექტორის მ/შ 2020წლის 5 ივნისის ბრძანებით N04/28 ისგ მეთოდოლოგიის შემუშავების შესახებ ;
- პროგრამის ბიუჯეტით.
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები დაფუძნებულია დაინტერესებული მხარეების: პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, პროფესიული განათლების მასწავლებლების/ განმახორციელებლების, გამოკითხვის შედეგად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

მიღებულ ინფორმაციაზე. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას. პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამის რეკომენდაციებს შემდგომი რეაგირებისთვის. პროგრამის განვითარების უზრუნველყოფა მუდმივი, დინამიური პროცესია, ამიტომ პერიოდულად ხდება პროფესიული სტუდენტის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, პრაქტიკის ხემძღვანელის, დამსაქმებელი ორგანიზაციების კითხვარის გადამუშავება. კითხვარების ანალიზის და გაუმჯობესების აქტივობების დაგეგმვა, კოლეჯსა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის კომუნიკაციის მექანიზმების სრულყოფა. შრომის ბაზრის კვლევა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, რომელიც გამოავლენს საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას, აწარმოებს კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას. ანალიზის მასალები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

2. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული აქტივობების შედეგების ანალიზი საფუძველზე. პროფესიულ სტანდარტში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელს. მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროცედურების და წესების შესაბამისად დირექტორის მ/შ მიერ გამოიცემა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში განისაზღვრება პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც აღნიშნული ცვლილება გავრცელდება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის მ.შ 18.05.2020 წ. N04/22 ბრძანებით - დამტკიცებული ..სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ;
- სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის მ/შ ბრძანებით N04/32 11.06.20 - ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“ ;
- სსიპ კოლეჯის “ლაკადა“ დირექტორის მ/შ მიერ 11.06.20 დამტკიცებული ბრძანებით N 04/33 ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“;
- სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის მ/შ 5.06.20 ბრძანება N 04/27 „პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ ;
- სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის მ/შ 2019 წ 15 მაისის ბრძანება N 04/43 „განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“ ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის მ/შ ბრძანებით 04/22 18.05.20 „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ “ ;
- სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის მ/შ ბრძანებით N04/32 11.06.20 - ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ “ ;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია სასწავლო გეგმა კოლეჯში არსებული რეგულაციებისა და სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, სასწავლო გეგმა აგებულია მოდულებზე დაშვების წინაპირობების დაცვით და კვირეული დატვირთვა არ არის 40 სთ-ზე მაღალი. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. კალენდარულ გეგმას შეიმუშავებს კონკრეტული მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი.

2. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგნიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია სასწავლო პროცესზე დაკვირვება და პრობლემების იდენტიფიცირება. პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრა. კოლეჯის დირექტორის მ/შ ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების, პროფესიული სტუდენტის შეფასების გასაჩივრების, პროფესიული სტუდენტებისთვის კონსულტაციის გაწევის, პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესებს, ასევე შეფასების შედეგების და პროცედურის გასაჩივრების წესებს.

3. კოლეჯის საგანმანათლებლო პროცესში აქტიურად გამოიყენება საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებები. კოლეჯს აქვს ონლაინ კონფერენციების, სესიების, სემინარების, ტრენინგების და სხვა ჩატარებისთვის შესაბამისი საკომუნიკაციო მოწყობილობა. პროფესიული პროგრამები ითვალისწინებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ათვისებას და გამოყენებას ლექციური და პრაქტიკული მეცადინეობის პროცესში. კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნება პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები. დარგის შესაბამის ტექნოლოგიები გამოიყენება კოლეჯში, ასევე პარტნიორი ორგანიზაციებში დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად.
კოლეჯის მიერ, სტრატეგიული გეგმის შესაბამისად ხორციელდება პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ პრაქტიკის ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სტაჟირება/ტრენინგები სწავლებაში დარგის უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით.

4. კოლეჯის დირექტორის მ/შ ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს სსიპ კოლეჯის - ,,ლაკადა“ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობას - ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, რის მეშვეობითაც კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

5. კოლეჯის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად პროგრამის „ელექტროობა“ ზოგადი, სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი, პროფესიულ/დარგობრივი და ინტეგრირებული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე. რასაც უზრუნველყოფს კოლეჯის ადამიანური და მატერიალურ/ტექნიკური რესურსები.

პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული მემორანდუმის შესაბამისად განხორციელდება მიზნონობრივი სასწავლო ესკურსიები და გარკვეული მოდულების სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევა უფრო ეფექტურია რეალურ სამუშაო გარემოში, დაწესებულებას ჰყავს სამი პარტნიორი ორგანიზაცია: შპს სკურფესი, სს ენერგო პრო ჯორჯია და შპს ენგურჰესი, თითოეული მემორანდუმით განსაზღვრულის 15 პროფესიული სტუდენტის სწავლება პრაქტიკის ობიექტზე, მემორანდუმები დადებულია უვადოდ, მემორანდულში გაწერილია მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება მოვალეობანი, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების საკითხები და დანართად აკრულია მისაღწევი სწავლის შედეგები და მარერიალური რესურსების ჩამონათვალი(იმ ობიექტზე, სადაც გატალინია კონკრეტული სწავლის შედეგი); გასაუბრება განხორციელდა ენერგო პრო ჯორჯიას წარმომადგენელთან, რომელმაც დაადასტურა მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე მზაობა;

6. პროგრამა „ელექტროობა“ ხორციელდება სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა‘‘ ფაქტობრივ მისამართზე: ქ.ჯვარი ყაზბეგის ქ N2 , კოლეჯში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება. კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმემბი, შენობის სამივე სართულზე განთავსებული სახანძრო სტენდები და ცეცხლმაქრი ბალონები. დაცულია ცეცხლმაქრების გამოყენების ვადები. კოლეჯს გააჩნია პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით. სტუდენტებს და პერსონალს პირველად სამედიცინო დახმარებას უწევს მედდა. შენობის სველი წერტილები ადაპტირებულია შშმ პირებისათვის. პარტნიორი ორგანიზაციები ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად უზრუნველყოფენ სტუდენტთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო პირობების დაცვას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, ელექტროობის პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, საკომუნიკაციო საშუალებებით განხორციელდა გარემოს დათვალიერება, სასწავლო სტენდებთან გამოკრულია უსაფრთხოების ნიშნები და წესები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის მ/შ ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტროობა“ დამტკიცების შესახებ, N04/35, 12.06.20 ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- „სასწავლო გეგმა“, პროგრამის მატერიალური რესურსებითა და განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით;
- სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის მ.შ 18.05.2020 წ. N04/22 ბრძანებით - დამტკიცებული ..სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ;
- სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის მ/შ 5.06.20 ბრძანებით N 04/27 დამტკიცებული „პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგია“ ;
- კოლეჯის-მატერიალურ ტექნიკური ბაზით;
- სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის მ.შ 18.05.2020 წ. N04/22 ბრძანებით - დამტკიცებული ..სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ;
- სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ დირექტორის მ/შ 2020 წლის 5 ივნისის ბრძანებით N04/28 ი.ს.გ მეთოდოლოგიის შემუშავების შესახებ“ ;
- მემორანდუმით პარტნიორ ორგანიზაციასთან:;
- სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ დირექტორის მ/შ 20.05.19 ბრძანებით N 04.46 დამტკიცებული „საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი“ ;
- სსიპ კოლეჯის ,ლაკადა“ მიერ შესაბამის ორგანიზაციებთან გაფორმებული ხანძარსაწინააღდეგო სისტემების მონტაჟის შესყიდვების ხელშეკრულებითა და მიღება ჩაბარების აქტებით;
- წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

3. კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; რაც გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების პროცესის განხორციელების და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების მიმართ.

2. დაწესებულებას გაწერილი აქვს შეფასების ინსტუმენტის შედგენისა და ვერიფიკაციის მექანიმზი, რის თანახმადაც ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას. მოდულის სწავლის შედეგის დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი სწავლის შედეგების დასადასტურებელ შეფასების ინსტრუმენტს შესათანხმებლად 10 დღით ადრე წარუდგენს სასწავლო პროცესისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს,რომელიც ამოწმებს და აწერს ხელს „შეთანხმებულია“. დახარვიზების შემთხვევაში ინსტრუმენტი უბრუნდება მასწავლებელს 2 დღის ვადით გასასწორებლად. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის პროცესი ემსახურება დაწესებულების სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, პროფესიული მასწავლებლების დახმარებას, მხარდაჭერასა და პროფესიული განვითარებას.შიდა ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით:

- შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია
- პროცესის ვერიფიკაცია
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია

დაწესებულება მუშაობს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმის დახვეწაზე სტანდარტის ყველა გამოწვევის გათვალისწინებით. შეიქმნება შიდა შემოწმების (შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი)ხარისხის მართვის მენეჯერის და შესაბამისი დარგის სპეციალისტებისგან. რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობას შეფასების განმავლობაში.

3. კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ხოლო შეფასების უწყისებს უვადოდ; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის კრედიტების ათვისება და შედეგების დადასტურება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს. რაც აისახება ბრძანების თანახმად შექმნილი საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილების საფუძველია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Erasser Free

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯი ახორციელებს სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად ასევე, ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ღონისძიებები, რომლის თანახმად პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლის/განმახორციელებლისაგან მოდულის ფარგლებში მიიღოს დამატებითი კონსულტაცია მიღწევების გასაუმჯობესებლად ყოველი შედეგის წინ, საჭიროებისამებრ; პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულის განხორციელებამდე კალენდარულ გეგმასთან ერთად ადგენს სწავლის შედეგების შეფასებისა გრაფიკს. გრაფიკი გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილას, რომელშიც მითითებულია ჩამტარებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი და გვარი, ჩატარების დრო და აუდიტორია. სწავლის შედეგის შეფასების შედეგებს მოდულის განმახოციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი აცნობს პროფესიულ სტუდენტებს. შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის დახვეწისა და გაუმჯობესებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის მ/შ 2020წ 5 ივნისის ბრძანებით N04/27 „შიდა ვერიფიკაციის განხორციელების მეთოდოლოგია“ დამტკიცების შესახებ;
- სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის მ/შ 5.06.20 ბრძანებაით N 04/27 „პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგია“ დამტკიცების შესახებ;
- სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის მ/შ 2019 წ 15მაისის ბრძანებით N 04/43 „განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“ ;
- სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის მ/შ 2020წ 5 ივნისის ბრძანებით N04/27 „შიდა ვერიფიკაციის განხორციელების მეთოდოლოგია“ დამტკიცების შესახებ;
- სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის მ/შ 5.06.20 ბრძანებით N 04/27 „პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგია“ დამტკიცების შესახებ;
- სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის მ/შ 2019 წ . 15 მაისის ბრძანებით N 04/43 „განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“ დამტკიცების შესახებ;
- სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის მ.შ 18.05.2020 წ. N04/22 ბრძანებით - დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ;
- სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის მ.შ 30.12.2019 წ. N04/122 ბრძანებით - დამტკიცებული პროფესიული სტუდენტის მტკიცებულებების აღრიცხვის წესით ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
22.07.2020 წ
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: